ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი ალიბეგაშვილს

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი წევრის და ფრაქცია „თბილისელები"-ს თავმჯდომარის

გიორგი მუსხელიშვილის
2016 წლის 1 ნოემბრიდან 2017 წლის 11 ოქტომბრის ჩათვლით საქმიანობის ანგარიში

გახლავართ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვაკის რაიონის მაჟორიტარი წევრი და საკრებულოს ფრაქცია „თბილისელების" თავმჯდომარე.

ფრაქციის ძირითადი მიზნებია:

საქართველოს მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების, თავისუფლებების დაცვა და სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერა.

დედაქალაქის მაცხოვრებელთა საქალაქო ტრანსპორტით უზრუნველყოფისათვის ხელშეწყობა;

ღია საზოგადოებრივი კამპანია დედაქალაქის წინაშე მდგარი მწვავე და კრიზისული პრობლემების აღმოფხვრის საქმეში;

სკოლამდელი და სასკოლო რეფორმების ხელშეწყობა;

კულტურულ-სპორტული ღონისძიებების ორგანიზება-ხელშეწყობა;

კერძო საკუთრების ხელშეუხებლობა;

თავისუფალი მეწარმეობის ხელშეწყობა;

დედაქალაქის ადმინისტრაციული მართვის სისტემის და არჩევითი ორგანოების საქმიანობის დაქვემდებარება დემოკრატიული პრინციპებისადმი;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს აპარატის
საქმისწარმოების განყოფილება
ფურცლების რაოდენობა 2 ფურცელი
№10/9720 11.10.17

აღნიშნული მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, პოლიტიკურ გაერთიანებებთან, საზოგადოებრივ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, შესაბამისი დარგის ექსპერტებთან და სპეციალისტებთან თანამშრომლობა.

ზემოთ აღნიშნული მიზნების მისაღწევად ფრაქცია იყენებს ყველა კანონიერ გზას, ფორმასა და საშუალებას.

ვარ ქალაქ თბილისის ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო და ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიების წევრი.

- ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში აღნიშნული პერიოდის მანძილზე ჩატარდა 24 სხდომა და განხილული იქნა 185 საკითხი.
- ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიაში აღნიშნული პერიოდის მანძილზე ჩატარებული იქნა 16 სხდომა, სადაც განხილულ იქნა 18 საკითხი.

2016 წლის 1 ნოემბრიდან 2017 წლის 11 ოქტომბრის ჩათვლით ჩატარდა 28 ფრაქციის სხდომა, სადაც განვიხილეთ 174 საკითხი.

2016 წლის 1 ნოემბრიდან 2017 წლის 11 ოქტომბრის ჩათვლით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარდა 27 საკრებულოს სხდომა. მიღებულია 93 დადგენილება და 496 განკარგულება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვაკის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის ოფისი მდებარეობს ფალიაშვილის 33. მოქალაქეების მიღების დღე არის ოთხშაბათი, ოფისი ფუნქციონირებს ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 10:00 დან 18:00 საათამდე.

პატივისცემით

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი წევრი

გიორგი მუსხელიშვილი